პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
27
ივლისი
№ 173
(17518)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ინფორმაცია—79

ჩვენს ქვეყანაში

მოკლედ

გვეტყობინებენ საკავშირო კორესპონდენტები

▲ რიგა, 26. ახალგაზრდობის ჯგუფს, რომელიც ახლახან შეემატა გაერთიანება „ვეფის“ კოლექტივს, მიანდვეს აეწყოს რთული ელექტრონული მოწყობილობა „ოლიმპიადა-80“-ის სპორტული ობიექტებისათვის. ასეთი მაღალი კვალიფიკაცია მუშებმა მიიღეს გ. გაილის სახელობის № 2 ტექნიკურ სასწავლებელში. ახალგაზრდა ცვლის საგულდაგულო მომზადება საშუალებას აძლევს რესპუბლიკის საწარმოებს შეამცირონ კადრების დენადობა, ჩამოაყალიბონ მტკიცე კოლექტივები. ახლა პროფტექნიკური სასწავლებლების აღზრდილები ლატვიის ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში წარმოების მუშაკთა ძირითად კონტინგენტს შეადგენენ.

▲ ბაკურიანი, (ლენინგრადის ოლქი), 26. „ახალი სინათლის“ მეელექტრეობის საწარმოში გამოიყენეს პირუტყვის ახალი ჯიში, რომელთა გენეტიკური თვისებები საშუალებას იძლევა დაჩქარდეს სამრეწველო საფეიქრეულ ნედლეულზე სახორციელ მეცხოველეობის განვითარება. ეს სამუშაო ერთად შეასრულეს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა სელექციონერებმა. პირუტყვი მაღალი წონამატების მეოხებით ვადაზე ოცდაათი-ორმოცდაათ დღით ადრე აღწევს 120-130 კილოგრამს სტანდარტულ წონას. ახლა საწარმოს სამრეწველო კონვეიერი ყოველწლიურად 400 ათას ცენტნერზე მეტ ღორის ხორცსა და ბეკონს ამზადებს.

▲ ფრუნზე, 26. სცენიდან ყირგიზულ ენაზე ამეტყველდნენ ბომბარშეს პიესის „ფიგაროს ქორწინების“ გმირები. ეროვნულ ენაზე კომედია პირველად დადგეს მოსკოვის შჩეპკინის სახელობის თეატრალური სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა. ეს სპექტაკლი რესპუბლიკის აკადემიურ დრამატულ თეატრში თანამემამულეთა წინაშე მცირე თეატრის სახელგანჭვრეტილი სკოლის აღზრდილთა შემოქმედებითი ანგარიში გახდა. ხუთი წლის წინათ მთიანი მხარის 20 ქალიშვილმა და ჭაბუკმა შექმნა სასწავლებელში პირველი ყირგიზული სტუდია. რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის ი. ხოლომონის ხელმძღვანელობით ისინი ეცნობოდნენ ძველი რუსული თეატრის დიდებულ მემკვიდრეობას, წვდებოდნენ აქტიორული ოსტატობის საიდუმლოებას.

▲ მოსკოვი, 26. თემატიკურ გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, წარმოდგენილია იმ მეურნეობათა მუშაობის გამოცდილება, რომლებიც თევზს აშენებენ თბოელექტროსადგურების ჩამდინარე წყლებში. ექსპონატებს შორის არის რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ინტენსიური ტიპის საუკეთესო საწარმოები. მათ თბოელექტროსადგურებთან და სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებთან შექმნეს თბილწყლიანი „საამქროები“ და დიდძალ თევზს იჭერენ — წყალსატევის ქვადრატულ მეტრზე 100-120 კილოგრამ ჭანარს, თავდიდას და თეთრ ამურს.

▲ ნუიუსი, 26. ყარაყალპაყეთის ტურკუულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ახლა თოოეული ხახნავი ტრაქტორის რემონტი ორჯერ უფრო იაფი უჯდებათ. ეს მიღწეულია სოფლტექნიკის რაიონული განყოფილების სახელოსნოების რეორგანიზაციის მეშვეობით, რომლებიც სპეციალიზებული გახდნენ. მთელი ყარაყალპაყეთი ახლა დაყოფილია ექვს ზონად, რომელთაგან თითოეულში იქმნება სახოფლო სამეურნეო ტექნიკის სპეციალიზებული სარემონტო საამქროები.

(საკდესი).

ხუთწლედი, შეჯიბრება

ამ დღეთა რიტმი

ნაყოფიერების ზრდით

თბილისი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მეათე ხუთწლედის მიმდინარე მეოთხე წლის განვლილ პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა 4,7 პროცენტი შეადგინა, რასაც აქ უპირველესად შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის წყალობით მიაღწიეს.

საწარმოს მშრომელებმა იანვარ-ივნისში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულეს. მათ ასევე მნიშვნელოვნად გადააჭარბეს მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

მალე საწარმოში მწყობრში ჩადგება გოგორწყლიანების და ურიკების სამქრო, რაც კიდევ უფრო საგრძნობლად გაზრდის როგორც შრომის ნაყოფიერებას, ისე პროდუქციის წარმოების მოცულობას. („კომ“ კორ.).

ჩვენი შინაგანი რეზერვები

კოლექტივი შედგება ინდივიდებისაგან, რომელთაც დიდი პირადი წვლილი შეაქვთ საერთო წინსვლაში. ჩვენ იმ ინდივიდებზე ვლაპარაკობთ, რომლებიც რეკორდულ საწარმოო მაჩვენებლებსაც აღწევენ და კოლექტივის სული და გულიც არიან, ირგვლივ კოლექტიურ სულისკვეთებას თესავენ და ადამიანებს თავიანთ ენთუზიაზმს უნერგავენ.

ამას წინათ პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტში მეორე მდივანს გ. ნოზაძეს ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ იგი ღრმად სწვდება ადამიანების სულს, კარგად ერკვევა ეკონომიკაში.

ჭიათურაში ტრადიციად დამკვიდრდა კვარტალებისა და წლების მანძილზე მიღწეული მაღალი შედეგების საზეიმოდ გარდამავალი დროშებისა და მოსალოცი დეპეშების მიღება. ისინი ეკუთვნის საუკნოვანი ქალაქის მუშათა კლასს, ზონის სოფლის მშრომელს, რომელნიც ხელიხელჩაკიდებული, თავდადებით ქმნიან დოვლათსა და ბარაქას.

რაიკომის მეორე მდივანი ამბობდა:

— სოციალისტური ცხოვრებისა და წარმოების წესი კოლექტივის წევრთა მიზნების ერთიანობის, მათი მჭიდრო ურთიერთობისა და საქმიანი დახმარების შესაძლებლობას ქმნის, იშვება არა მარტო რეალური, არამედ სულიერ მოთხოვნამდე ამაღლებული მოწოდება — გადავაქციოთ ერთის გამოცდილება ყველას კუთვნილებად. სწორედ ეს განპირობებს იმ გრანდიოზულ შედეგებს, რომლებსაც მუშაობაში ვაღწევთ.

კოლექტივის წევრთა ურთიერთობის ეს ფორმა ახალი როდია, მაგრამ მას შემდეგ, რაც წარმოებაში დაინერგა დამრიგებლობის მეთოდი, იგი უფრო კოკრეტული, უფრო დახვეწილი, გამომსახველობითი გახდა.

ახალი ითხვისის მაღარო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი სამთო საწარმოა. ბუნებრივია, მრავალათასიან კოლექტივში შეუძლებელია ყველას ერთნაირი გამოცდილება, უნარი ან თუნდაც მუშური წრთობა და სინდისი ჰქონდეს. ამიტომ იყო, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი ჯაფა გასწიეს დამრიგებელთა საწარმოო ინსტიტუტის შესაქმნელად.

პირველი და მთავარი თვით დამრიგებელთა შემადგენლობის შერჩევა იყო. რა თქმა უნდა, ეჭვიც არავის შეპარვია, რომ ამ სიას სათავეში მოექცეოდა სამგზის ორდენოსანი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ნოვატორი გვირგბგამყვანი გ. ბაქრაძე, რომელსაც მხარი დაუმშვენეს ლაურეატმა მაღაროელებმა ი. ბარბაქაძემ, ი. ბერბიჩაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვლ. გელაშვილმა, ვეტერანმა მებრიგემ ვ. გოგატიშვილმა, ზენაკალმა გ. ზუზაძემ და სხვებმა. დამრიგებლებად აღიარებულ ამ ადამიანთა საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის სპეციალური საბჭოც შეიქმნა.

ახლა მრავალ საინტერესო ჩანაწერს ნახავთ დამრიგებელთა საბჭოს სხდომების დღიურებში. გრ. ბაქრაძის მუშაობის მეთოდებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მანგანუმის მომპოვებელ მრეწველობაში. მან შეიმუშავა ღრმა ბურღვის პროგრესული მეთოდი, რომელმაც საგრძნობლად დააჩქარა სანგრევის წინსვლა, გაზარდა მადნის მონგრევა და შემაცირა ბურღვის სხვადასხვა ოპერაციის ხანგრძლივობა. აი ამით შეასრულა სქვეყნოდ განთქმულმა მუშამ ერთ ხუთწლედში ორი ხუთწლედის დავალება და ახლა მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა ის, რომ ეფექტიანი მუშაობის ეს მეთოდი საყოველთაო კუთვნილებად იქცა. ნოვატორის მეთოდით მუშაობენ ახალი ითხვისის მაღაროში გ. თაბაგარი, ჟ. გაფრინდაშვილი, გ. ბუზალაძე და სხვები, რომლებმაც უკვე გადალახეს ხუთწლედის ფინიშის ზღვარი.

კვალითელი იური ბირბიჩაძე ვაზის მოვლის და სამთო მექანიზმების გამოყენების უბადლო ოსტატია. ზესტაფონელ თანასოფლელებს ვაზის მოვლას ასწავლის, ჭიათურელებს მანგანუმის მადნის მონგრევას. ნათქვამია, რო უკეთესად ასწავლიან და უკეთესად ეფექტენ ერთმანეთს. ვ. გოგატიშვილის მამა მაღაროელი იყო. თვითონაც მამის პროფესიას გაჰყვა და შემდეგ სამთოელის რომანტიკულ ცხოვრებას აზიარა თავისი სამი ვაჟი. ორი ახლა უმაღლესში სწავლობს, ერთი კი მამას უდგას გვერდში. ასევე შეასწავლა თავისი პროფესია ამფეთქებელმა ვ. აბესაძემ ვაჟიშვილს ზაქარიას. ანალოგიური მაგალითები ბევრია.

მაღაროში დამრიგებელთა საბჭოს ინიციატივით სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს შორის, რომლის შედეგები საბჭოს დებულების შესაბამისად მოწმდება. გასული წლის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნეს დამრიგებლები გ. ბაქრაძე, ი. ბარბაქაძე, ი. ბერბიჩაძე და სხვები, რომლებიც ფასანასა საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

აქ მხოლოდ ერთი მაღაროს დამრიგებელთა საქმიანობის შესახებ მოგითხრეთ. ეს ერთადერთი საწარმო როდია ჭიათურაში, სადაც დამრიგებლობას დიდი ყურადღება ექცევა. ასეა დაყენებული მუშაობა სამთამადნო კომბინატის ყველა მაღაროში, მშენებლობის ტრესტის სამმართველოებში, სამკერვალო ფაბრიკაში, საშენ მასალათა კომბინატსა და ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას მაღაროთა ქალაქში სხვადასხვა ფორმის სწავლებაც ემსახურება. სამთამადნო კომბინატში მუშაობს მოწინავე გამოცდილების შვიდი სკოლა, რომლებშიც გაერთიანებულია წამყვანი პროფესიის 112 მოწინავე მუშა. გარდა ამისა 87 კომუნისტური შრომის სკოლაში 200-ზე მეტი მუშა ეუფლება ნოვატორულ ხერხებს, ხოლო ორი სახალხო უნივერსიტეტის შვიდ ფაკულტეტზე 500 კაცი სწავლობს თანამედროვე მოწინავე მეცნიერების მიღწევებსა და უახლეს ტექნიკას.

გადავაქციოთ ნოვატორის მონაპოვარი კოლექტივის კუთვნილებად!—ამ მოწოდებით მუშაობენ ჭიათურის მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლები და შეძენილი მდიდარი გამოცდილება ასე ხდება მატერიალური ძალა.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კიბერნეტიკის ინსტიტუტში



ქი

რესპუბლიკა ხარაჩოებში

მარჯვენას უქებენ მშენებლებს

ჯილდო სიხარულთან ერთად ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს ადამიანს, მაგრამ ეს ჯილდო გაცილებით უფრო სასიხარულო, საპატიო და პასუხსაგებია მაშინ, როცა მას საფფძვლად შეხმატკბილებული კოლექტიური შრომა უდევს.

მიმდინარე წელს სწორედ ასეთი შრომის დიდი საზღაური იყო ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის კოლექტივისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება.

და აი, როდესაც მშენებელთა შორის სიხარულით გამოწვეული უდიდესი გრძნობა ერთგვარად ინელდა და ყოველდღიური საქმიანობაც ჩვეულებრივი კალაპოტით წარიმართა, მათ კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო გულდასმით გადაავლეს თვალი თავიანთ საქმიანობას, გასული წლის მაჩვენებლებს და აღმოჩნდა, რომ შედეგები არცთუ ისე ურიგო ჰქონიათ.

შარშან ტრესტის კოლექტივმა სულ 11 მილიონ 313 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა, რაც საგრძნობლად აღემატება ხუთწლედის მეორე წლის ამავე მაჩვენებელს. ჩაბარებული 58 ობიექტიდან სამი გეგმის გადამეტებით გადაეცა საექსპლოატაციოდ, გარდა ამისა, დამკვრელურ წელს რკინიგზელთა 150 ოჯახმა იზეიმა ახალშოსახლეობა.

ტრესტის მასშტაბით შარშან შრომის ნაყოფიერება 1,7 პროცენტით გაიზარდა, ხელფასის ფონდის ეკონომიამ 16,8 ათასი მანეთი, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 63 ათასი მანეთი შეადგინა. მარტო რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებულმა ეფექტმა 410 ათას მანეთს მიაღწია.

ჯილდო კი, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ უფრო მეტ შრომითს თავდადებას მოითხოვდა და მათაც არ დააყოვნეს. ხუთწლედის მეოთხე წლისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს, ყოველი დღე დამკვრელურად გამოაცხადეს და გადწყვიტეს არსებული, მაგრამ გამოუყენებელი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით წელს შარშანდელზე გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებისათვის მიეღწიათ.

ახლა, როდესაც წლის პირველი ნახევარი დამთავრდა და საშუალება გვაქვს გადავხედოთ მშენებელთა მიერ განვლილ ეტაპზე გაწეულ საქმიანობას, ირკვევა, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა თვალში საცემია, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლები კიდევ უფრო სტაბილური.

წლიური გეგმით გათვალისწინებული 13 მილიონ 102 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებიდან მშენებლებს პირველ ნახევარში უნდა შეესრულებინათ 6 მილიონი მანეთისა. ფაქტიურად კი ამ მაჩვენებელს 174 ათასი მანეთით გადაჭარბეს და გეგმა 103 პროცენტით შესრულეს, ზეგეგმითმა მოგებამ 24 ათასს გადაამეტა, ხელფასის ფონდიდან გაწეულმა ეკონომიამ კი 15.400 მანეთი შეადგინა. წელს რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის შედეგად 300 ათასი მანეთი უნდა დაიზოგოს, ამ გზით ფაქტიურად უკვე მიღებულია 256 ათასი. მწყობრში ჩადგა ლანჩხუთის რკინიგზის სადგურის ახალი შენობა, აქვე მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით, მოეწყო მაღალი ბაქნები. გარდაბნის რაიონში 45 ათასი ჰექტარი უკავია ველის ბიცობიან და მლაშობ ნიადაგებს.

მოვალეობაც, პასუხისმგებლობაც

● 58-ის ნაცვლად 61 ობიექტი ● 150 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა ● ვადაზე ექვსი თვით ადრე

ბ. ბ. ბ.

ელექტროკარეგის მოდერნიზაცია

ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში დამთავრდა ახალი ელექტროკარის მოდერნიზაცია. იგი შესამჩნევად განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან — შეიცვალა გარეგნული სახე, სიჩქარე საათში 16 კილომეტრამდე გაიზარდა. ახალი ელექტროკარი ძველზე 50 კილოგრამით მსუბუქია. მიმდინარე წელს დაიწყებენ მის სერიულ გამოშვებას.

ამჟამად ქარხანა შვიდი სახეობის ელექტროკარს უშვებს. აქედან სამს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. საპატიო ხუთკუთხედზე არის წარდგენილი აგრეთვე ახალი, მოდერნიზებული ელექტროკარი.

● ●

სურათზე: გამომცდელი ანზორ ქორიძე, ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ვიქტორ კირნოსოვი, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს უფროსი ალბერტ მოვსესიანი, წამყვანი კონსტრუქტორი ნიკიტა დარმანიანი, ახალი ტექნიკისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ბიუროს უფროსი კლიმენტი მეგანეიშვილი ამოწმებენ ახალ მოდერნიზებულ ელექტროკარს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა — წ ა რ მ ო ე ბ ა ს!

ROგORᲒ ᲒᲐᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ნის მეურნეობების ნიადაგები, რის საფუძველზეც კრწანისის საბჭოთა მეურნეობაში 400 ჰექტარი მლაშობი და ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესებისათვის დაისახა აგრომელიორაციული ღონისძიებები; 100 ჰექტარ ფართობზე შესრულდება სარეკულტივაციო სამუშაოები; ზუსტდება აგროქიმიური კარტოგრამები და სასუქების დოზები კულტურათა მიხედვით.

ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ინსტიტუტის მეცნიერები 100 ჰექტარ ფართობზე იკვლევენ ნადაგს ვენახების გასაშენებლად.

გაჩიანის მერძეულობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში გავრცელებულ ბიცობიან ნიადაგებზე ხორციელდება ღრმა ხვნა და ქიმიური მელიორაცია (გათაბაშრიანება). უკვე გათაბაშრიანებულია 80 ჰექტარი, ეს ციფრი მალე 500-ს მიაღწევს. მეურნეობისათვის ცალკე დგება მიწათსარგებლობის გეგმა და აგროქიმიური კარტოგრამები.

საშეფო ჯგუფის წევრები — ინსტიტუტის მეცნიერები ახალი სამეურნეოს მეურნეობაში დაეწყნენ კომბოსტოს მწკრივთაშორისების კულტივაციას, სასუქებით გამოკვებას, ვენახების შპალერის რემონტს, კვალსათბურებში კომბოსტოსა და პამიდორის ჩითილების გამოყვანის სამუშაოებს და სხვ.

სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსის სავარგულების შესწავლის საფუძველზე კომპლექსს ხელმძღვანელობას რეკომენდაცია მიეცა 10 ჰექტარ ფართობზე, რომელიც წყლით იტბორება, განახორციელოს სამელიორაციო ღონისძიებები. დგება კომპლექსის ნიადაგების რუკა და ეროზიულობის კარტოგრამა.

შეფთა ჯგუფის წევრებმა „საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტის, წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალისტებთან და კოჰპროექტის ხელმძღვანელობასთან ერთად შეისწავლეს სარწყავი სისტემა და დაისახა მისი გაუმჯობესების ღონისძიებები. საირიგაციო ღონისძიებების განხორციელების გეგმა შემუშავდა აგრეთვე ვაზიანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისათვის, სადაც 260 ჰექტარი დაჭაობებულია ზედაპირული არხებით რწყვის შედეგად.

უახლოეს ხანში დაიწყება აეროპორტის მომიჯნავე ტერიტორიაზე ბაღის, კარიერული მოპოვების შედეგად მწყობრიდან გამოსული 160 ჰექტარი მიწის სარეკულტივაციო სამუშაოები.

მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა ასეთი შემოქმედებითი საქმიანი თანამშრომლობა უთუოდ სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს, ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც, უწინარეს ყოვლისა, ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებით გამოიხატება.

ნ. იაშვილი,

ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ დროში სულ უფრო იზრდება მეცნიერების როლი ეკონომიკის განვითარების, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საქმეში. მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია კავშირი მეცნიერებასა და წარმოებას შორის, რის გამოც ქიანურდება მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა.

სწორედ ამ ნაკლზე მიგვითითა შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როდესაც ნიადაგმცოდნეო ბ ი ს, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევ ი თ ი ინსტიტუტის მუშაობა შეისწავლა და მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები დაგვისახა.

ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც სამოქ მ ე დ ო პროგრამად მიიღო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ თითოეული მეცნიერი მუშაკის საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშიროს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ამ მიზნით გადავწყვიტეთ შეფობა გავუწიოთ გარდაბნის რაიონის მშრომელებისათვის მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაში.

საშეფოდ გარდაბნის რაიონის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან აქაური ბოსტნეულის მწარმოებელი სპეციალიზებული საზოგადოებრივი მეურნეობები საშუალოდ ჰექტარზე 119-120 ცენტნერ ბოსტნეულს იწვენენ, რაც ჩამორჩება მოწინავეთა მაჩვენებლებს.

რაიონის მიწათმოქმედთა მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება რესპუბლიკურ თუ საკავშირო შესაბამის მაჩვენებლებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ნიადაგის ნაყოფიერების გასადიდებლად ყოველთვის არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებები, დაბალია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მიწების დიდი ნაწილი ძირეულ მელიორაციულ დამუშავებას საჭიროებს. ჯეროვანი ყურადღება არც სასუქების რაციონალურ გამოყენებას ეთმობა. საგულისხმოა ისიც, რომ რაიონში 26.000 ჰექტარი მიწის ქარისმიერი, 8.000 ჰ ე ქ ტ ა რ ი კი წყლისმიერი ეროზიისაგან არის დაზიანებული. უკანასკნელ ხანს სარწყავ ზონაში შეიმჩნევა ირიგაციული ეროზია, რაც არასწორმა რწყვამ გამოიწვია. გარდაბნის რაიონში 45 ათასი ჰექტარი უკავია ველის ბიცობიან და მლაშობ ნიადაგებს.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა — წ ა რ მ ო ე ბ ა ს!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

თეორიის საკითხები

რეალური სოციალიზმის დიადი მიღწევაა, რომ წარმატებით გადაჭრა ეროვნული საკითხი, რომელიც სრულიად სამართლიანად კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და დრამატულ საკითხად ითვლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრულმა განხორციელებამ დაამკვიდრა ჩვენი ქვეყნის ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ყველა ერისა და ეროვნების უღრეველი ერთიანობა, ხალხთა ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ძმობა.

I.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის თვით ისტორიული პირობები განსაზღვრავს ახალი ტიპის ეროვნული ურთიერთობის ჩამოყალიბების ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობას.

რევოლუციამდელ რუსეთში, როგორც ცნობილია, ეკონომიკურად განვითარებულ ერებთან ერთად იყო შემზარავი ჩამორჩენილობის მარწუხებში მოქცეული ბევრი ხალხიც. ევროპისა და აზიის კონტინენტების უკიდეგანო სივრცეებზე გაფანტულ ამ ხალხებს სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტისათვის ტიპური სოციალიზმამდელი საზოგადოებრივი წყობილების ანტაგონიზმები ქსაქსავდა. უზარმაზარი მეცადინეობა გახდა საჭირო იმისათვის, რომ ჭრელი სხვადასხვა ეროვნების შემცველი კონგლომერატიდან წარმოქმნილიყო საერთო მიზნებითა და იდეალებით შედუღაბებულ ხალხთა ურღვევი კავშირი, რომ რევოლუციით გამოღვიძებულ ხალხთა ენერგია სოციალისტური აღორძინების კალაპოტით წარგვგემართა. სწორედ პარტიის ამ მეცადინეობამ გადააქცია საბჭოთა კავშირი ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნამდვილ უნივერსიტეტად.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საბჭოთა კავშირის ხალხთა პროგრესი აიძულებს დასავლეთს ცნოს საბჭოთის სოციალური და ეროვნული პოლიტიკის მიღწევები. მაგალითად, ჟურნალი „კომუნიზმის პრობლემები“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის და ურყევი ანტიკომუნისტური რეპუტაცია აქვს, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესახებ წერს, „ეს პრინციპები უკვე პრაქტიკულად განხორციელდაო“. ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ კი ტაშკენტიდან მიღებულ მასალაში ცნობს, რომ შუა აზიის ხალხთა ცხოვრების დონე ბევრად აღემატება მეზობელი ქვეყნების დონეს, და რომ ისინი, სრულიად უდავოდ, კმაყოფილი არიან თავიანთი ბედით და ამაყობენ მიღწეულთთ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა, საბჭოთა რესპუბლიკების უდიდესი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა მთელი მსოფლიოს ხალხთა ყურადღებას იპყრობს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც, ისტორიული განვითარების თავისებურებათა გამო, სოციალიზმის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ როგორ წყვეტს იგი ეროვნულ საკითხს. და თვით დასავლეთშიც, სადაც „ფერადკანიანები“ ჯერ ისევ იბრძვიან თანასწორუფლებიანი სტატუსისათვის, სადაც დგას ისეთი მწვავე პრობლემები, როგორიც არის, მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიისა — დიდ ბრიტანეთში და კანადელი ფრანგებისა — კანადაში, იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მილიონობით ადამიანის შეგნებაზე იმ გავლენას, რომელსაც სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის მაგალითი ახდენს. და გამოუხმაურონ მას, რა თქმა უნდა, თავისებურად. საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის მსოფლიოისტორიული ტენდენცია, რომელიც დაუბრკოლებლად ვითარდება სოციალისტური თანამეგობრობის პირობებში, აძლიერებს კაპიტალიზმის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დაცვითს რეაქციებს. იმპერიალისტებს აშინებთ, რომ განუხრელად ვითარდება სოციალიზმის ძალების, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების ერთიანობის პროცესი. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ ამ ბოლო ხანს ანტიკომუნიზმის იდეოლოგები აძლიერებენ გამოხდომებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ახალი ანტიკომუნისტური კამპანია ყბადაღებული „ადამიანის უფლებებისათვის ლაშქრობის“ აშკარა გაკოტრების პირობებში ჩაღდება. ერთი მუჭა დისიდენტების გამო ლაყბობა ფაქტიურად მისი ინიციატორების წინააღმდეგ შეტრიალდა. სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებმა კვლავ მთელი ძალით დაადასტურა, რომ სოციალისტური წყობილება ამ უფლებებს გაცილებით უფრო ღრმად და თანამიმდევრულად უზრუნველყოფს, ვიდრე კაპიტალიზმი. ბურჟუაზიულმა პროპაგანდისტულმა სამსახურებმა, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების წესის სახელის გატეხის ახალ საშუალებებს ეძებენ, ეროვნული ურთიერთობის სფეროს მიმართეს და ცდილობენ „დისიდენტობა ინდივიდუუმის დონიდან ერთა დონემდე აიყვანონ“. ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა ვარაუდით, ამან, ერთი მხრივ, საგრძნობლად უნდა გააფართოოს წინანდელი კამპანიის ფარგლები, ხოლო, მეორე მხრივ, უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ პაექრობა გადაატანოს სხვა სფეროში, შექმნას იმის შესაძლებლობა, რომ ეროვნული ფსიქოლოგიის ყველაზე მგრძნობიარე სიმებს ჩამოჰკრან ხელი. ამ იდეოლოგთაგან ყველაზე თავგამოდებულებს, როგორიც არიან, მაგალითად, ელენ კარერ დანკოსი (საფრანგეთი), რიჩარდ პაიპსი (ამერიკის შეერთებული შტატები), ტერეზა რაკოვსკა-ჰარმსტონი (კანადა), ჰიუ სეტონ-უოტსონი (ინგლისი), საბჭოთა კავშირის „დამლაც“ კი ელანდათ.

ამგვარ „წინასწარმეტყველებათა“ თავისებური თეორიული ბაზაა დასავლეთის ბურჟუაზიულ სოციოლოგთა შორის ფართოდ გავრცელებული ვერსია, თითქოს ნაციონალური და ინტერნაციონალური შეუთავსებელი იყოს, თითქოს „მძლავრი ნაციონალისტური ვირუსი“ დაუოკებლად ედებოდეს მთელ მსოფლიოს. ამ ვირუსმა გეოგრაფიული საზღვრები არ იცის და თანაბარი ძალით ემართებაო ნებისმიერ სოციალურ სისტემას. ეროვნული ფაქტორის მისტიფიკაციის მეშეეობით ბურჟუაზიულ სოციოლოგიას სურს იგი მსოფლიო განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად მოგვაჩვენოს. არსებითად, კვლავ ხელში აიღეს რეაქციული ნაციონალიზმის იარაღი.

II.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის ტრადიციული დებულებების შესაბამისად, ნაციონალიზმი გაანიხილება დროისა და სივრცის გარეშე. მას წყვეტენ თავის წარმომშობ ნიადაგს, არ ითვალისწინებენ სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს. „უცვლელ“ ეთნიკურ განსხვავებათა და „ინდუსტრიალიზმის“ კონფლიქტი და ამასთანავე სოციალური და კლასობრივი საფუძვლის სრული იგნორირება — აი, მათი აზრით, „გადაუწყვეტელი“ ეროვნული საკითხის არსი. ეს კი ნიშნავს, რომ პრაქტიკულად აიგივებენ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დროს ძირფესვიანად განსხვავებულ ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემებს.

დასავლელი მეცნიერები, რომლებიც ასეთი პოზიციებიდან უდგებიან ეროვნული თვითდამკვიდრების პროცესების დახასიათებას და იყენებენ ცნებების აპარატს, რომლიც ხალხთა ეროვნული და კოლონიური ჩაგრის კაპიტალისტური სისტემის მასალების საფუძველზეა შემუშავებული, ყველგან მხოლოდ ნაციონალიზმსა და მეტოქეობას ხედავენ. პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, რომლის ღროშითაც ასმილიონობით ადამიანი ახალ ცხოვრებას აშენებს და სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვის, ან არაფრად აგდებენ ან მოძველებულად თვლიან. ხალხთა მეგობრობას ისინი საბჭოეთის პროპაგანდისტულ ლოზუნგად აცხადებენ, რომელიც თურმე ნუ იტყვით, იმისთვის მოუგონიათ, რომ საზოგადოებრივ აზრს დაუმალონ „კიდევ ერთი ჯერის კოლონიალიზმი“. იმასაც ცდილობენ, საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ნაყოფიერი პროცესი საფრთხეს უქმნიდეს „ერთა უფლებებსა და თავისებურებებს“.

დასავლელი „სოციოლოგ ებ ი, როცა სოციალიზმის დროს ეროვნულ ურთიერთობას აფასებენ, წამდაუწუმ აიგივებენ „ნაციონალურსა“ და „ნაციონალისტურს“. ნაციონალურს, რომელშიც გულისხმობენ ყოველივე არქაულს, უპირისპირებენ სოციალისტურს, ამით ისინი სრულიად შეგნებულად მალავენ, რომ სწორედ სოციალიზმის საფუძველზეა უზრუნველყოფილი ერთა თავისუფალი და ჰარმონიული განვითარება. სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების აყვავება, რომელსაც თავიანთი ძმური კავშირის გაძლიერების გზით მიაღწიეს, საბჭოთა ადამიანის ეროვნული ღირსების ამაღლება — ყოველივე ამას „სეპარატისტული ტენდენციების“ მაუწყებლად ასაღებენ.

მაგრამ რეალური სოციალიზმის გამოცდილება, მთელი ისტორიული გამოცდილება არწმუნებს ხალხებს ძმური კავშირის უპირატესობაში, ინტერნაციონალური თანამშრომლობის აუცილებლობასა და კანონზომიერებაში.

დასავლეთში შექმნეს მოსაზრებათა და დებულებათა მთელი სისტემა, რომლებმაც, რადაც უნდა დაჯდეს, უნდა „დასაბუთონ“, რომ ჩვენს ქვეყანაში გარდაუვალად გამწვავდება ეროვნული საკითხი. ჯერ ერთი, სოციალიზმს, თურმე, ახალი არაფერი შეუტანია ეროვნულ ურთიერთობაში. მასაც ახასიათებსო იგივე ეთნიკური ანტაგონიზმი, რომელიც დამახასიათებელია მსოფლიოს ნებისმიერი ტომობრივი თუ მრავალრასოვანი საზოგადოებისათვის. მეორე, ერთა დაახლოების პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური პარტია აბორიგელებს საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ობიექტური პროცესების სრული შესაბამისობით, თურმე მიზნად აქვს დასახული „დენაციონალიზაცია“, ეროვნულ თავისებურებათა ძალადობრივი შოსპობა. მესამე, საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა, არ არსებობს, რამეთუ, ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა ჭკუით, „ერავალეროვანი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს რაიმე. სხვა, თუ არა ერთა და ეროვნებათა ძალადობრივი კონგლომერატი. ეს იდეოლოგები კვლავინდებურად გაჰკივიან, თითქოს ვიღაც ცდილობდეს ასზე მეტი ერი და ეროვნება „ერთიან საბჭოთა ერში“ ჩატენოს. მეოთხე, არ არსებობს არც საბჭოთა ადამიანი-ინტერნაციონალისტი — მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის სრულიადაც არ არისო სულერთი ეროვნული ენებისა და კულტურის განვითარების და სხვა საკითხები.

ასეთი მითოლოგიის მიზანია აიძულოს რომელიღაც „ეროვნული ელიტა“ — იქნება ეს რუსი თუ არარუსი ხალხი, წინააღუდგეს ერთა შემდგომ დაახლოებას და მოითიზოვოს, რომ პატივი სცეს მათ „უფლებებს“, რომლებშიც უსრულეს დამოუკიდებლობას გულისხმობენ.

მთელი ამ ფსიქოლობის ლოგიკა ძალზე პრიმიტიულია: „ესა და ეს არ არსებობს, იმიტომ რომ ეს ყოველად შეუძლებელია“... ნაციონალიზმისა და მსოფლიოში მისი როლის სქემებში, რომლებიც ბურჟუაზიულმა და ანტიკომუნისტურმა ცენტრებმა შეიმუშავეს, საერთოდ გამორიცხულია, რომ ხალხებმა, ახორციელებენ თავიანთ თვითგამოკვეთვის უფლებას, შეიძლება მჭიდრო კავშირი ამჯობინონ და ამჯობინებენ შეიღლსა და განკერძოებას. ნამდვილ სოციოლოგებს ფანტასტიკურად მიაჩნიათ, რომ საბჭოთა ადამიანი — მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი — არ იკეტება ეროვნულ ნაჭუჭში, რომ მისი შემოქმედებითი ენერგიის წყაროა არა საკუთარი ერის „უმირატესობის“ შესახებ წარმოდგენები, არამედ ერთიანი მიზნით შეკავშირებულ ხალხთა სოლიდარობა.

როგორც სოციალიზმმა დაამტკიცა, სულ უფრო მჭიდრო დაახლოების ჭეშმარიტი გზა — ეს არის არა ეროვნულ განსხვავებათა ძალადობით აღმოფხვრის გზა, არამედ ის, რომ მკაფიმალურად ვიზრუნოთ ყველა ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, შეეუქმნათ მათ თავისუფალი თვითგამოვლენის პირობები და ამის საფუძველზე უფრო აქტიურად ვაზიარონ ინტერნაციონალური ღირებულებებს.

სოციალისტური პრაქტიკა გვაძლევს ვიაზროვნოთ ახალი კატეგორიებით, რომლებიც უცხო ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის ეს შეეზება, მაგალითად, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობას. ეს ცნებები მარქსისტ-ლენინელებს სრულიადაც არ მიაჩნიათ ანტიპოდებად, სოციალიზმის დროს ისინი მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს და საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი

რესპუბლიკა ხარაჩოებში

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

მხოლოდ ფაქტები

● **ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ** ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოეწყო კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. მანქანათმშენებლობის, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და ხელსაწყოების ტექნოლოგიის, ავტომობილ და ტრაქტორმშენებლობის ტექნოლოგიის, შემდუღებელი წარმოების დარგის სპეციალისტები — 480 ახალგაზრდა ინჟინერი გაიგზავნა ქვეყნის სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში.

● **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ** რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც პირველ ექვს თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 150 ათასი მანეთის პროდუქცია. წარმატებით დაიწყეს სამეურნეო წლის მეორე ნახევარი.

ნაყოფიერი შრომის მაგალითს უჩვენებს მარელისის ჯრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲡᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია

გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია, რომელმაც განიხილა საკითხი — „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საბ_ ჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა_ თვის“.

მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უბილავამ.

სესიაზე როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთში დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს აფხაზეთის ასსრ თაობაზე სკკპ ცენ_ ტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ხორციშესხმისათვის. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში. ეს იმ ორგანიზატორული, პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის შედეგია, რომელსაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან.

ამასთანავე ისიც ითქვა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის დამყარებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სოციალის_ ტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის.

ადმინისტრაციული ორგანოებისა და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების სუსტი მუშაობის შედეგია, რომ ჯერაც არ აღმოფხვრილა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიც არის გამომ_ ძალველობა, მომხმარებელთა ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუება, ხალხმრავალი შილებისა და ქელეხების გადახდა, სოციალისტური საკუთრების დატაცება. სუსტად მიმდინარეობს ბრძოლა ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ბავშვთა უმეთვალყურეობი_ სა და არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ.

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო დადგენილება.

სესიაზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ო. კობახიამ გააკეთა მოხსენება „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ აფხაზეთის ასსრ კანონების პროექტების თაობაზე“.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს აფხაზეთის ასსრ კანონები აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ, აგრეთვე დაამტკიცეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც მიღებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღ_ ლესი საბჭოს მეთერთმეტე და მეთორმეტე სესიებს შორის პერიოდში.

ი. გოგეჩია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲘᲦᲬᲔᲕᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲛᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘ

დილაადრიან ახმაურდება ხოლმე სამშენებლო მოედანი... მაღლა მიიწევს სართულები. ლენტენის № 2 ორმოცბინიან საცხოვრებელ სახლს № 5 მორავი მექანიზებული კოლონა აშენებს. ამ ობიექტზე საგეგმო 103 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებულია 110 ათასი მანეთის სამუშაოები. საერთოდ, მექანიზებული კოლონა წელს კარგად მუშაობს.

მონდომებამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ განაპირობა ის, რომ უკვე აშენდა და საექსპლოატაციოდ მზად არის ხოფურის სასკოლო ინტერნატი 400 ადგილიანი მეტრი საცხოვრებელი ფართობით, სწორფი ტემპით მიმდინარეობს ჯახუნდრის საშუალო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა.

წლის ბოლომდე მოძრავი მექანიზებული კოლონა 500 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს. რაიონულ ცენტრში მალე დაიწყება კიდევ ორი ორმოცბინიანი სახლის მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადასცემენ № 2 ორმოცბინიან საცხოვრებელ სახლს, ჩიხარეშის სასკოლო ინტერნატს, ჯახუნდრის საშუალო სკოლის სასწავლო კორპუსს, 400

ჩვენ და გარეშეო

ერთიანი მიზნით, ერთიანი ძალით

პროგრამა—„ადამიანი და ბიოსფერო“—მოქმედებს

თანამედროვე ადამიანს ძალა და უნარი შესწევს უშუალო გავლენა მოახდინოს ბუნებრივი პროცესების მსვლელობაზე, მაგრამ სულ უფრო ცხადი ხდება ისიც, რომ ეს ზემოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის თვით ადამიანის საარსებო გარემო პირობებს.

ბრძოლა მომავლის საღი ბიოსფეროსათვის, რომელიც უზრუნველყოფს ცაცბრიობის მუდმივ არსებობა-განვითარებას, მიზნად ისახავს გლობალური ხასიათის ღონისძიებათა ფართო სისტემის შექმნას მრავალი ქვეყნის გაერთიანებული ძალებით. ამიტომ სრულიად კანონზომიერი და დროული იყო 1970 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის XVI სესიის გადაწყვეტილებით ახალი საერთაშორისო, სამთავრობათშორისო პროგრამის — „ადამიანი და ბიოსფეროს“ — მიღება. იგი ითვალისწინებს გარემოს დაცვისადმი ახლებურ, ინტეგრირებულ მიდგომას, სპეციალისტების სათანადო მომზადებას, ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირის კანონზომიერებათა არა მარტო დადგენას, არამედ ამ ურთიერთმოქმედების არსებითს გაუმჯობესებას, მიზნად ისახავს დაარღვიოს ბარიერები მეცნიერებსა და იმ სახელმწიფო მოღვაწეებს შორის, რომლებზეც დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს ბიოსფეროს გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება დაახლოებით თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში მყოფი ქვეყნების ერთიან მოქმედებას. თითოეულ ქვეყანაში იქმნება აღნიშნული პროგრამის ეროვნული კომიტეტი, რომელიც განსაზღვრავს და წარმართავს კონკრეტული ეროვნული პრობლემებით გათვალისწინებულ გამოკვლევებს (ეს უკანასკნელი საერთაშორისო პროგრამის შემადგენელი ნაწილია). ხუთი წლის წინათ შეიქმნა „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის საბჭოთა კავშირის ეროვნული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი საბჭოთა ზოოლოგი აკადემიკოსი ვ. სოკოლოვი.

ამჟამად პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო“ აერთიანებს 14 პროექტს, რომელთაგან ესა თუ ის ქვეყანა ამუშავებს მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს პროექტებია: „ტროპიკულ და სუბტროპიულ ეკოსისტემებზე ადამიანის აქტიური ზემოქმედების ეკოლოგიური შედეგების შესწავლა“, „სხვადასხვა სახის მიწათსარგებლობისა და სამეურნეო პრაქტიკის ეკოლოგიური ზეგავლენა ხმელთაშუა ზღვისა და ზომიერი ზონის ტყის ლანდშაფტებზე“, „ადამიანის მოქმედებისა და მიწათსარგებლობის სხვადასხვა ხერხის ზეგავლენა საძოვრებზე: სავანა, ბალახოვანი ლანდშაფტები (ზომიერიდან გვალვიან რაიონებამდე)“, „ადამიანის მოქმედების ზეგავლენა გვალვიანი და ნახევრადგვალვიანი ზონების ეკოსისტემათა დინამიკაზე, განსაკუთრებით ირიგაციის შედეგების გათვალისწინებით“, „ადამიანის მოქმედების ეკოლოგიური ზეგავლენა სანაპირო რაიონებისა და ტბების, ჭაობების, მდინარეების, დელტების, ესტუარიების მდგომარეობაზე და რესურსებზე“, „ადამიანის მოქმედების გავლენა მთის და ტუნდრის ეკოსისტემებზე“, „კუნძულების ეკოსისტემათა ეკოლოგია და მათი რაციონალური გამოყენება“, „ბუნებრივ რაიონებში არსებული განეტიკური მასალის შენარჩუნება (დაცვა)“, „სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ეკოლოგიური შეფასება და სასუქების გამოყენება ხმელეთისა და წყლის ეკოსისტემებში“, „ძირითადი სახეობის სანეიონრო-ტექნიკურ სამუშაოთა ზეგავლენა ადამიანსა და გარემოზე“, „ქალაქის სისტემათა ეკოლოგიური ასპექტები, განსაკუთრებით ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით“, „ურთიერთდამოკიდებულება სახეშეცვლილ გარემოსა და მოსახლეობის გენეტიკის, დემოგრაფიისა და ადაპტაციის სტრუქტურას შორის“, „გარემოს მდგომარეობის შეცნობა“, „გარემოს მდგომარეობის გამოკვლევა ბიოსფეროზე მისი მოქმედების პროცესში“.

თითოეული პროექტისათვის გამოყოფილია მეთაური ორგანიზაცია და დამტკიცებულია პროექტების ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირში ყველა ზემოაღნიშნული პროექტი მუშავდება. ამასთან ორი პროექტის მეთაური ორგანიზაციებია ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კერძოდ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თბილისის სატყეო ინსტიტუტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

პროექტებთან გათვალისწინებული თემატიკის დამუშავებაში ფაქტიურად მონაწილეობს საქართველოს მრავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, მაგრამ ბევრი ამ დაწესებულებათაგანი სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარებისაა, რაც საკმაოდ ართულებს სამუშაოთა კოორდინაციას, მათ დროულ და ეფექტიან დანერგვას. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია კმაყოფილებით შეხვდა „ადამიანი და ბიოსფეროს“ საბჭოთა კომიტეტის წინადადებას შექმნილიყო აკადემიის პრეზიდიუმთან იუნესკოს გრძელვადიანი პროგრამის — — „ადამიანი და ბიოსფეროს“ რესპუბლიკური კომიტეტი. 1978 წლის ზაფხულში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ ეროვნული კომიტეტი 22 წევრის შემადგენლობით. კომიტეტში შევიდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები, დაინტერესებულ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

ლ. გაბუნია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იუნესკოს პროგრამის — „ადამიანი და ბიოსფეროს“ რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

თ. ურუშაძე,
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, კომიტეტის სწავლული მდივანი.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ჩანაწერიდან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამართა უშიშროების საბჭოს წევრთა კონსულტაციები სინის ნახევარკუნძულზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების შესახებ, რომელთა მანდატი 24 ივლისს გავიდა. კონსულტაციების დამთავრების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ვალდჰაიმმა გააკეთა განცხადება პრესისათვის, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„უშიშროების საბჭოში მიღებული კონსულტაციების მიხედვით აღვნიშნავ, რომ უშიშროების საბჭოს წევრთა მიერ მიღწეული მორგების საფუძველზე არ გაგრძელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების მანდატის მოქმედების ვადა ახლო აღმოსავლეთში და ამ გადაწყვეტილების შესაბამისად აღნიშნული მანდატი ძალას კარგავს 24 ივლისს შუაღამისას.

ვაპირებ განგაზორციელო საჭირო ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების მოწესრიგებული გაყვანისათვის“...

შემდეგ ვალდჰაიმმა განაცხადა, რომ, რამდენადაც ამ ძალების გაყვანა არ ეხება აღნიშნულ რაიონში პალესტინაში დაზავების პირობების შესრულებისადმი მეთვალყურეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯგუფის მეთვალყურეთა შემდგომ ყოფნას, უშიშროების საბჭოს არსებული გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელდება საჭირო ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შემდგომი ფუნქციონირებისათვის.

როგორც ცნობილია, ისრაელ-ეგიპტის სეპარატული ხელშეკრულების მონაწილეებს სურთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებულ ძალებს დაკისრონ მეთვალყურის როლი ამ მორიგების განხორციელებისადმი. მაგრამ მხოლოდ უშიშროების საბჭოს აქვს უფლებამოსილება შეცვალოს საერთაშორისო ძალების საქმიანობის ხასიათი; ხელშეკრულების მონაწილეებმა უშიშროების საბჭო ვერ დაითანხმეს ფუნქციათა ასეთ ცვლილებაზე.

ვიეტნამის პრინციპული პოზიცია

დელი, 26 ივლისი. (საკადესი). ქენდეის კონფერენციაზე სოციალისტური ვიეტნამის მიერ დაკავებულმა მტკიცე, პრინციპულმა პოზიციამ ჩაფუშა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ცდები ჩარეულიყვნენ ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში, მის წინააღმდეგ განეწყოთ მსოფლიო საზოგადოებრიობა, წერს ინდური „პეტრიოტი“. გაზეთი ხაზს უსვამს ღრმა ჰუმანიზმს, რომელიც გამოიჩინა ვიეტნამმა. იგი მზად არის კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს ამერიკის ინტერვენციის, აგრეთვე პეკინის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტაში, პეკინისა, რომელიც ჩინური ეროვნების პირებს მოუწოდებს დატოვონ ვიეტნამი.

სავსს ეჭიდება...

ყოფილი შაჰი შეთქმულებას ამზადებს

ბერნი, 26 ივლისი. (საკადესი). შვეიცარიის ყოველკვირეულის „შვაიცერ ილიუსტრირტეს“ ცნობით, ირანის ყოფილი შაჰი და მისი მომხრეები შეთქმულებას ამზადებენ ირანის ახლანდელი მთავრობის დამხობის მიზნით.

რევოლუციის შემდეგ ირანიდან გაქცეულმა უმაღლესმა ოფიცრებმა საზღვარგარეთ შექმნეს ორგანიზაცია ქვეყნის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. მის წევრებს შუდმივი კონტაქტები აქვთ შაჰთან, რომელიც ამჟამად მექსიკაში იმყოფება, და მას უთანხმებენ თავიანთ გეგმებს.

„შვაიცერ ილიუსტრირტე“ აღნიშნავს, რომ შეთქმულებს დახმარებას დაპირდა „დასავლეთის ბევრი მთავრობა“. ყოველკვირეულის აზრით, ყოფილი მონარქი ძირგამომთხრელი საქმიანობის აქტივიზაციისათვის დიდად შთაგონა მასთან ნიქსონისა და კისინჯერის ამასწინანდელმა ვიზიტებმა.

ჰ. დონოვენის დანიშვნა

ვაშინგტონი, 26 ივლისი. (საკადესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ჟურნალ „ტაიმის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი ჰ. დონოვენი დანიშნა პრეზიდენტის უფროსი მრჩევლის პოსტზე. როგორც თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯ. პაუელმა თქვა, დონოვენი ანგარიშს მხოლოდ ჯ. კარტერს ჩააბარებს ხოლმე.

ახალი მთავრობის მნიშვნელოვანი დეკრეტები

მანაგუა, 26 ივლისი. (საკადესი). ნიკარაგუას ეროვნული აღორძინების დროებითმა დემოკრატიულმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 30 დღის ვადით შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა. ეს ღონისძიება, აღნიშნულია მთავრობის დეკრეტში, ხორციელდება ეკონომიკის კატასტროფულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და მოწოდებულია უზრუნველყოს „ცხოვრების მშვიდობიანი პირობები, სტაბილურობა და ყოველი ნიკარაგუელი ოჯახის დაცვა“.

დეკრეტი ითვალისწინებს სამი წლის ვადით სპატიმროში ჩასვან საწარმოთა მფლობელები და სახელმწიფოს მოსამსახურეები, რომლებიც საბოტაჟს მოუწყობენ ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესს. ამ მიზნით აარსებენ სპეციალურ ტრიბუნალებს.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკარაგუას შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას ბორხემ განაცხადა, რომ დროებითი მთავრობა ულმობელი იქნება კონტრრევოლუციონერების მიმართ. პრესკონფერენციის დამსწრეებს მან აცნობა, რომ სომოსას მომხრეებმა ეროვნული გვარდიიდან, რომელთაც თავშესაფარი მიეცათ წითელი ჯვრის ლტოლვილთათვის განკუთვნილ ბანაკებსა და მანაგუის მთელ რიგ საზღვარგარეთის საელჩოებში, კვლავ წამოყვეს თავი და ტერორისტულ აქტებს ეწევიან. მარტო უკანასკნელ დღეებში ნიკარაგუას დედაქალაქში განიცადების ტყვიით დაიღუპა რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები და სახალხო მილიციის მებრძოლები.

ჩვენ მთლიანად და სავსებით ვიცავთ ადამიანის უფლებებს, აღნიშნა ტ. ბორხემ. მაგრამ მთავრობა გადაჭრით გმობს ტეროროისტთა დანაშაულებრივ აქციებს. ამიერიდან ეროვნულ ლტოლვილთა ბანაკები, სადაც იმყოფება ეროვნული გვარდიის ორი ათასამდე ყოფილი ჯარისკაცი და ოფიცერი, მთავრობის განკარგულებით სამხედრო ტყვეთა ბანაკებად იქცევა შესაბამისი რეჟიმითა და დაცვით, თქვა მან.

ნიკარაგუას წითელი ჯვრის თავმჯდომარემ ისრაელ რეიესმა მთავრობის ამ ღონისძიების სამართლიანი უწოდა.

გამოქვეყნდა ბრძანებულება იმის შესახებ, რომ დაინიშნოს რწმუნებულები სომოსასა და მისი რეჟიმის მაღალი თანამდებობის პირთა საკუთრების — ბანკების, საწარმოების, მამულების ექსპროპრიაციისათვის. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმ სასწრაფო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება სწრაფად განახლდეს ამ ქვეყანაში საწარმოო საქმიანობა.

დღეისათვის, როგორც ნიკარაგუას პროკურორმა ენრიკე კასტილიომ განაცხადა, ჩამორთმეულია 50-ზე მეტი სამრეწველო, სავაჭრო და სხვა კომპანია, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეულ ნიკარაგუას დიქტატორის ოჯახს ეკუთვნოდა.

ქვეყანაში კვლავ ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა. ამ პრობლემის გადასაჭრელად ნიკარაგუას ახალი მთავრობა გეგმავს შექმნას კოოპერატივები სომოსას ოჯახისათვის ჩამორთმეულ მიწებზე და გლეხებს მისცეს საკმარი კრედიტი. სოფლის მეურნეობის საკითხებში მთავრობის კონსულტანტის ფ. კიუეოს განცხადების თანახმად აგრარული რეფორმის მთავარი ამოცანაა ტრადიციული სურსათის — ბრინჯის, სიმინდისა და ლობიოს წარმოების მკვეთრი გადიდება.

ახლა ნიკარაგუას დედაქალაქში ეშვებიან ლათინური ამერიკის სახელმწიფოებიდან გამოგზავნილი სურსათით, მედიკამენტებით, ტანსაცმლით დატვირთული თვითმფრინავები. ამ სახელმწიფოებმა სურვილი გამოთქვეს ამ ქვეყნის ხალხს დაეხმარონ სომოსას რეაქციული რეჟიმის სავალალო მემკვიდრეობის — შიმშილისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. პრესა ლატინს სააგენტოს ცნობით, კუბის ავიაკომპანიის „კუბანა დე ავიასიონის“ თვითმფრინავებმა მანაგუაში ჩამოიტანა აგრეთვე სხვადასხვა საქონელი, რომლებიც კუბელებმა ნიკარაგუელ ხალხს საჩუქრად გაუგზავნეს.

ბახთარის სააგენტოს ცნობა

ქაბული, 26 ივლისი. (საკადესი). ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქაბულში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩოსა და სხვა წარმომადგენლობათა რიცხვი, რომლებიც მუშაობას შეუდგნენ აპრილის რევოლუციის შემდეგ.

ბახთარის სააგენტოს აქ გავრცელებულ ცნობაში ნათქვამია, რომ აპრილის რევოლუციის შემდეგ ავღანეთში უცხოთის ზოგიერთი წარმომადგენლობისა და დაწესებულების თანამშრომლებისა და მოსამსახურეების რიცხვი გადიდდა და არ შეესაბამება ამ სახელმწიფოში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობათა თანამშრომლების რიცხვს.

ობიექტივშია არაბთა გაერთიანებული ემირატები

ყარაბული საამიროების გაერთიანება ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. იგი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 1971_1972 წლებში გაჩნდა არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარე შვიდი პატარა საამიროს გაერთიანების შედეგად. გაერთიანების ეკონომიკის საფუძველია ნავთობი. მისი მოპოვებით მიღებულმა შემოსავალმა ამ ქვეყანაში მძაფრი სამშენებლო ბუმი გამოიწვია.

სხვა არაბულ სახელმწიფოებთან ერთად არაბულ საამიროთა გაერთიანებამ გადაჭრით დაგმო ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგება, რომელსაც კემპ-დევიდში მოაწერეს ხელი. არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების ბაღდადის შეხვედრის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საამიროთა გაერთიანების მთავრობამ დახმარება შეუწყვიტა სადათის რეჟიმს.

სურათებზე: დიბაის ნავსადგური. აქლემის ბაზარი. ყავა არაბეთის სასმელია.

„იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტის **რ. მოსეევის** ფოტორეპორტაჟი.

ექსპერიმენტი ბრაუნების ოჯახის სიხარული

ლონდონი. ამ დღეებში ბრისტოლელი ცოლ-ქმარი ჯონ და ლესლი ბრაუნები თავიანთი ერთი წლის გოგონას ლუიზას დაბადების დღეს გადაიხდიან. ალბათ დღემდე გაჩენილ არც ერთ ბავშვს არ გამოუწვევია ასეთი ინტერესი და გაცხოველებული დისკუსიები პრესაში და ექიმ-სპეციალისტებს შორის. საქმე ის არის, რომ გოგონა, რომელიც შაბშან 26 ივლისს ოლდემის ჰოსპიტალში ეყოლა 32 წლის ლ. ბრაუნს, მსოფლიოში პირველი ხელოვნურად ჩასახული ბავშვია.

უშვილობის ერთ-ერთი ფორმით დაავადებულ დედას უშველეს ექიმებმა პატრიკ სთეპტოუმ და რობერტ ედვარდმა, რომლებიც 13 წელია ამ დარგში მუშაობენ.

ლ. ბრაუნის ორგანიზმიდან ამოღებული კვერცხუჯრედი ხელოვნურად განაყოფიერეს. მიღებული ემბრიონი რამდენიმე დღის მანძილზე ლაბორატორიულ პირობებში ვითარდებოდა, შემდეგ კი დედის საშვილოსნოში გადანერგეს. ლ. ბრაუნის ორსულობის პერიოდი, ექიმების წინანალოგიურ ცდებთან შედარებით, წარმატებით მიმდინარეობდა. გოგონას წონა დაბადებისას 2,6 კილოგრამი იყო, ათი თვის ლუიზამ ენაც ამოიდგა. ამჟამადაც, ექიმების აზრით, ბავშვი ნორმალურად ვითარდება.

(საკადესი).

„პრავდა“, 1979 წ. 26 VII.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

26 ივლისი

ლონდონი. ბრიტანეთის გემთმშენებლობის მრეწველობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე ძნელ პერიოდს განიცდის, განაცხადა აქ ეროვნული გემთსაშენებელი კორპორაციის „ბრითიშ შიფბილდერსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მ. კეიზიმ. მის მიერ წარმოდგენილ ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ შეკვეთების მკვეთრ შემცირებასთან დაკავშირებით კომპანიის ფინანსურმა დანაკარგმა 49,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ფედერალური სარეზერვო სისტემის (ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური ბანკი) მმართველთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა პ. ვოლკერი. იგი ამ პოსტზე შეცვლის უ. მილერს, რომელიც ამასწინათ დანიშნეს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრად გადამდგარი მ. ბლიუმენტალის ნაცვლად.

პ. ვოლკერი უოლსტრიტელი ბანკირია. 1969-დან 1974 წლამდე იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილე სავალუტო საქმეებში. უკანასკნელ ხანს ეკავა ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტის პოსტი.

რიო-დე-ჟანეირო. მიმდინარე წლის 6 თვეში ბრაზილიის საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 600 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 60 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. როგორც პრეზიდენტთან არსებული დაგეგმვის სამდივნოს უფროსი იტყობინება, მოსალოდნელი არ არის, რომ წლის მეორე ნახევარში საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს.

ისლამაბადი. იმ მიზნით, რომ კონკურენციისაგან დაიცვას თავისი ბაზრები, შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება გაზარდოს ბაჟი საქონელზე, რომელიც პაკისტანიდან შეაქვთ. ეს ღონისძიება, აღნიშნავს გაზეთი „მუსლიმი“, უარყოფით გავლენას მოახდენს ამერიკის შეერთებულ შტატებში პაკისტანის ექსპორტის მდგომარეობაზე და შეიძლება კიდევ მეტი დისბალანსი გამოიწვიოს ორი ქვეყნის ვაჭრობაში. 1978 წლის ივლისიდან 1979 წლის მარტამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში პაკისტანის ექსპორტმა შეადგინა 858 მილიონი რუპია, მაშინ, როცა ამერიკის საქონლის იმპორტმა 4.119 მილიონ რუპიას გადააჭარბა. (საკადესი).

ბანგლადეშის ... ეროვნული ... ბრძოლა

... ...

ჩვენს არემარეში

„ცისკრის“ დაბადება

პიონერული ქალაქი ცხვარიჭამიაში

მცხეთის რაიონის ლამაზ სოფელ ცხვარიჭამიის შესასვლელთან აისს ხვდება გოგონასა და ბიჭის ქანდაკება, რომელიც სიმბოლურად ჩვენი ყმაწვილების ბედნიერ ბავშვობას გამოხატავს. 24 ივლისს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პიონერული ქალაქი „ცისკარი“.

დღის 4 საათია. გაისმის საყვირის ხმები და ცენტრალურ პიონერულ ხაზზე მწკრივდებიან ნორჩ ლენინელთა რაზმები. ყღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები, აღმართეს ალმები. ქალაქის ბატონ-პატრონები წითელ ყელსახვევებს უკეთებენ საპატიო სტუმრებს — დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

„ცისკრის“ გახსნა ბავშვებს მიულოცეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. კადენცემა, საქართველოს მინქანთმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ზ. სარალიძემ, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომკვლევმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. რომნისთველმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ო. დოლიძემ, პოეტმა ხ. ბერულავამ.

„ცისკრის“ გახსნა განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენაა პიონერიის ცხოვრებაში უფრო იმიტომაც, რომ იგი ´ დაემთხვა ბავშვის საერთაშორისო წელს. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ლოზუნგი „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს“, ყველაზე თვალწარმტაცი კუთხეები, ზღვების, ტბებისა და მდინარეების ლაქვარდოვანი ნაპირები, ქალაქებისა და სოფლების მწვანეში ჩაფლული მიდამოები ბავშვებს აქვთ დათმობილი. ამის საუკეთესო დადასტურებაა ახალი პიონერული ქალაქი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით, მათი ქმედითი დახმარებით, რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად დიდი მუშაობა გასწიეს, რათა შეექმნათ ყველა პირობა ზაფხულის არდადეგების პერიოდში ბავშვთა შინაარსიანი დასვენებისათვის.

ტიუმენიდან, არხანგელსკიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, საქართველოს ქალაქებიდან და რა-



იონებიდან ჩამოსული შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ათასობით ბავშვი ატარებს აქ საზაფხულო არდადეგებს.

გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ დუშეთისა და ქვიშეთის პიონერული ბანაკების წარმომადგენლები, პიონერული ქალაქის ნორჩი მასპინძლები.

— თუ ხუთი წლის წინათ ცხვარიჭამიის პიონერულ ბანაკში სამასი გოგონა და ბიჭი ისვენებდა, ახლა აქ თორმეტი ათასი ბავშვი დასვენებს, — თქვა ქალაქ „ცისკრის“ ბავშვთა გამგეობისაღებელი პიონერული ბანაკების გაერთიანების დირექტორმა ვ. ყიფიანმა. — აქ აშენდა და რეკონსტრუირებულია ექვსასამდე სააგარაკო სახლი, აშენდა სასადილოები, ბანაგები და საშხაპეები, სპორტული მოედნები, საცურაო აუზები, სამედიცინო პუნქტები, ღია ესტრადა, მოეწყო დასასვენებელი ფანჩატურები. 15 ბანაკიდან თითოეულს ემსახურება გამოცდილ მასწავლებელთა ერთეული. ბავშვებთან ერთად 31 ექიმი და მედდა, ბავშვებთან აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან მასწავლებლები და პიონერხელმძღვანელები — სულ 1500 კაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მუშავდება პიონერული ბანაკის შემდგომი განვითარების გენერალური გეგმა. გათვალისწინებულია აშენდეს ცენტრალური წყალსადენი, სპორტული კომპლექსი, სათამაშო მოედანი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები. უახლოეს მომავალში „ცისკარი“ ყოველწლიურად საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ორმოცდაათი ათას პიონერსა და მოსწავლეს მიიღებს, თვალწარმტაცი მთის პეიზაჟები, ტყეები, ჯანსაღი ჰაერი — ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათ შინაარსიან დასვენებას. (საინფორმი).



სურათებზე: (ზემოდან) პიონერული ქალაქის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ხაზი; „ცისკრის“ შესასვლელის სკულპტურული კომპოზიცია; ცხვარიჭამიის პიონერთა ქალაქის პირველი მობინადრენი.

ნ. ვარდიაშვილის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ინფორმაცია—79

ტყიბულში:

ანკარა წყაროს წყალი

ტყიბული. ხრესილის სასოფლო საბჭოს ცენტრში წლების მანძილზე არ ჰქონდათ სასმელი წყალი.

ხრესილის კოლმეურნეობის გამგეობის ახალი ხელმძღვანელობის (თავმჯდომარე გ. ჯუბლაშვილი) ინიციატივით ორი კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანეს სუფთა, ანკარა წყაროს წყალი.

სასმელი წყლის სამონტაჟო სამუშაოები გრძელდება. მალე სასოფლო საბჭოს მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ახალი წყაროს წყლით, რომელიც 15 კილომეტრის მანძილიდან გამოჰყავთ.

ლ. კუტალაძე, სოფლკორი.

თევზმა რომ იმრავლოს

ტყიბული. ტყიბულჰესის წყალსაცავის ბაზაზე სოფელ მანჭიოროთან შეიქმნა ახალი საინკუბატორო მეურნეობა, რომელსაც 12 ჰექტარი ფართობი უჭირავს. იგი ჭვესი სექციისაგან შედგება.

აქ წელიწადში სარკისებრი კობრისა და სხვა ძვირფასი ჯიშის თევზების ორ მილიონ ლიფსიტას მიიღებენ, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ტყიბულჰესისა და შაორჰესის წყალხაცავების მოთხოვნილებას.

მეშახტეები კურორტებზე

ტყიბული. მიმდინარე წელს 130-მდე მეშახტემ და შახტმშენებელმა დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. შვებულება სოჭში გაატარა ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე მნრეველმა ს. ჩუბინიძემ, კისლოვოდსკში ისვენებს სტალინის სახელობის შახტის სამთო ოსტატი მ. ლილუაშვილი, საირმეში — ორჯონიკიძის სახელობის შახტის ელმავლის არის და პირველ-სულლორის უფასო საგზური მიიღო ამავე შახტის საწმენდი სანგრეგის მუშამ ს. ბეშკენაძემ.

სალონი „ცეროდენა“

წალენჯიხა. (საკ. კორ. გ. ნოდია). წალენჯიხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ქალაქის ცენტრში, სანაპიროს ქუჩაზე გახსნა სალონი „ცეროდენა“.

ბავშვთა სალონს აქვს ტანსაცმლის, თეთრეულის სამკერვალო, საპარიკმახერო, ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის სახელოსნო და ფოტოსალონი.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე გვატყობინებს

მოსკოვი. 26 ივლისი. (ტელეფონით). კვლავ გვინდა გავიხსენოთ საქართველოსა და მოსკოვის წყალბურთელთა ფინალური შეხვედრა. მეტოქეები მთელი მატჩის განმავლობაში მწვავედ, უშეღავათოდ უტოვდნენ ერთმანეთს. იყო შეცდომებიც, საჯარიმო ტყორცნები და აუზიდან გაძევებაც, მაგრამ საფინალო სასტვენის შემდეგ ბრძოლა-გადახდილმა მეტოქეებმა მეგობრულად გადახვიეს ერთმანეთს ხელი და ერთად გაცურეს აუზის კედლისაკენ. აი, ასეთი მეგობრული სულისკვეთება სუფევს სპარტაკიადაზე. გამარჯვებულებს, რომელი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ, მოსკოველი მაყურებელი ტაშით აჯილდოვებს. გაისმის გამამხნევებელი შეძახილები, მოლოცვებს საზღვარი არა აქვს. ერთი სიტყვით, სპარტაკიადის ყველა მონაწილეს საზეიმო განწყობილებას უქმნიან. მეგობრობასა და ძმობას ეძღვნება აქ გამართული რესპუბლიკათა დღეები. ეს დღეები საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს. ასეთი იყო რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის დღეებისადმი მიძღვნილი შეკრებები. ასევე იქნება 31 ივლისს, როცა ამიერკავკასიის 3 რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დღისადმი მიძღვნილი თავყრილობა გაიმართება. საქართველოს სპორტული დელეგაცია ამ დღისათვის, ამ ერთობის მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის საგულდაგულოდ ემზადება.

გულღიად მახსოვნდება მოსკოვი უცხოეთის სპორტულ დელეგაციებსაც. და ამან განაპირობა სწორედ, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელი ათლეტებისთვისაც ახალი სპორტული მიღწევების ჩინებული ასპარეზი გახდა. მაგალითად, პირველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც აქ დამყარდა, ჩვენს სტუმარს, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ძალოსან ხან გენ სის ეკუთვნის — 62 კგ წონის სპორტსმენთა დავაში მან 111 კგ აიტაცა. კორეელმა ორჭიდის ჯამში 242,5 კგ დააგროვა და სპარტაკიადის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ამ წონითს კატეგორიაში ბრძოლა უმთავრესად ცნობილ საბჭოთა ძალოსანს ალექსანდრე ვორონინსა და მას შორის გაჩაღდა. „ბენეიერი ვარ, რომ ჩემი ოცნება ასრულდა, — თქვა ხან გენ სიმ, — ჩვენს შორის ჭიდილი საინტერესო გამოდგა. ამჯერად მე გავიმარჯვე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერთი წლის შემდეგ, აქვე, ოლიმპიურ ასპარეზობაში, ასეთი წარმატების მეღწევა გაცილებით გამიჭირდება“.

სპარტაკიადაზე გუშინწინ სხვა საზღვარგარეთელმა სპორტსმენებმაც ამარჯვეს. 20 ოქროს მედლიდან მათ 8 მედალი მოიპოვეს. **განსაკუთრებით შთამბეჭდავად ისპარეზეს სტუმრებმა მძლეოსნობაში: ფ. პაშეკმა (გდრ) სიგრძეზე ხტომაში სპარტაკიადის ახალი რეკორდით (825 სმ) გაიმარჯვა. ჯ. პაუელმა, უ. ჯილბერტმა და ჰ. მარშმა (ყველა აშშ) ბადროს ტყორცნაში, 200 და 3000 მეტრზე დისტანციებზე სირბილში აჯობეს ყველას.**

ამ სახეობათა სპორტში სტუმართა მაღალმა შედეგმა ჩვენი ათლეტებიც გააქტიურა. დაიწყო უკომპრომისო სპორტული ბრძოლა. და აი, ამის ერთი ნათელი დადასტურებაც: სიგრძეზე ხტომაში პაშეკის გარდა კიდევ სამმა სპორტსმენმა „იფრინა“ 8 მეტრზე და უფრო შორს.

უცხოეთის გუნდების გამოსვლა აუცილებლად თავის ელფერს და დაძაბულობას შემატებს კალათბურთელთა დასკვნითს ტურნირსაც, რომლის მონაწილე გუნდები უკვე ცნობილია. ქალთა შორის რვა უძლიერესში მოხვდნენ: **მოსკოვის, უკრაინის, ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის და ყაზახეთის გუნდები.** ვაჟთა შორის ეს უფლება მოიპოვეს: **საქართველოს, ესტონეთის, ლენინგრადის, ბელორუსიის, მოსკოვის, ლატვიის, უკრაინისა და ლიტვის კოლექტივებმა.** შესარჩევ ქვეჯგუფში უკანასკნელ შეხვედრაში ქართველი კალათბურთელები დამარცხდნენ ესტონელებთან — 88:92.

მწვავედ და უშეღავათოდ მიმდინარეობს ასპარეზობა **თავისუფალ ჭიდაობაში.** ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ნ. ჯაფაროვის (48 კგ) უიღბლო გამოსვლის თაობაზე. იგი საბოლოოდ მე-12 ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება ა. სულაქველიძეს (52 კგ), იგი მე-9 ადგილზე გავიდა, გ. კენკადე (62 კგ) კი — მე-12 ადგილზე.

100 კგ წონითს კატეგორიაში რ. ხუტაბა, რომელიც მესამე წრეში ი. იარიგინთან (რსფსრ) დამარცხდა, საბოლოოდ მე-6 ადგილს დასჯერდა. მან კოლექტივს 14 ქულა შესძინა.

6 წონითს კატეგორიაში დაწყებულ შეჯიბრებას განაგრძობს მხოლოდ გ. მაკასარაშვილი (74 კგ), რომელმაც 4 ორთაბრძოლა მოიგო ჭულებით. ორმა სპორტსმენმა გ. ყურაშვილმა (90 კგ) და რ. ხუტაბამ (100 კგ) ერთად საქართველოს დელეგაციას 33 ქულა შესძინეს. ვნახოთ რას მოგვიტანს მომდევნო ორთაბრძოლები და ამის მერე შევიცდებით გავარკვიოთ, როგორი პერსპექტივები აქვს ამ სახეობის სპორტს ჩვენს რესპუბლიკაში.

„დიდ პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვით ცხენოსანთა ასპარეზობაში ამჯერად გათამაშდა გუნდური პირველობა, სადაც უძლიერესი იყო მოსკოვის ნაკრები. მეორე ადგილზე გავიდა რუსეთის სფსრ გუნდი, მესამეზე — უკრაინის, მეოთხეზე — სომხეთის. საქართველოს ცხენოსნებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს, რაც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან დაბრკოლებათა გადალახვაში ჩვენი მხედრები ადრე მაინც და მაინც არ ბრწყინავდნენ. საქართველოს ნაკრებს გუნდურ შეჯიბრებაში წარმატება მოუტანეს სამსონიამ, სამველიანმა და ტატიშვილმა.

დაიწყო სასპორტაკიადო შეჯიბრება **ცურვაში.** ურიგოდ არ იასპარეზეს საქართველოს მოცურავეებმა პარალელური ასპარეზობის — საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებულ ესტაფეტაში (თავისუფალი სტილით 4X100 მ). მათ ამ სახეობაში მე-7 ადგილი დაიკავეს.

გრძელდება **ტრეკზე შეჯიბრება.** 4 კმ-ზე გამოდეგნებით იხდიდიდუალურ რბოლაში პ. ჩევარდოვმა (საქართველო) მე-5 ადგილი დაიკავა და კოლექტივს ჩასათვლელი ქულები მისცა. **კარგად ასპარეზობს სპრინტერი ე. გელაშვილი. იგი რვა უძლიერესთა შორის არის და პირველობისათვის აგრძელებს ბრძოლას.** რაც შეეხება გ. დვალიშვილს, იგი მე-11 ადგილისათვის მებრძოლ ჯგუფში ისპარეზებს და თუ იქ საუკეთესო ადგილი დაიკავა, მე-8 ადგილისათვის განკუთვნილი ჩასათვლელი ქულები დაეწერება, ვინაიდან წინ სამი უცხოელი სპორტსმენია.

დამთავრდა გუნდური შეჯიბრება **სპორტულ ტანვარჯიშში.** საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა (ბ. შამუგია, მ. თათარაძე, ვ. რაჭველიშვილი, ბ. ბახია, ს. ლეონტიევი და ჯ. ალთუნაშვილი) მე-7 ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას ჩასათვლელი ქულები შესძინა. წინ გაგვისწრეს რუსეთის სფს რესპუბლიკის, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთისა და ლენინგრადის გუნდებმა.

ასევე მე-7 ადგილი დაიკავა საქართველოს ქალთა გუნდმა, რაც უთუოდ კარგ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ (საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ა. ბაბასიანი, ლ. გალჩავა, ი. ქორიძე, ხ. ნინიშვილი, ი. ხატიაშვილი, მ. ხრიკაძე და ს. მაისურაძე). ქალთა გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი იყო რუსეთის ფედერაციის ნაკრები.

დღეს კრილატსკოეს სანიბოსნო არხზე გაიმართა ორადგილიანი გასაშლელი ნავით ფინალური ასპარეზობა. საქართველოს ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა, მაგრამ რესპუბლიკის დელეგაციას მე-5 ადგილისათვის გაწაუთვნილი ქულები მისცა, ვინაიდან წინა ხუთეულში პოლონელთა ნავიც იყო.

უკანასკნელ საქმეს!

● **ხელბურთი.** საქართველოს ქალთა გუნდმა დაამარცხა ნორვეგიის ნაკრები — 22:21.

● **თავისუფალი ჭიდაობა.** სამ წონითს კატეგორიაში უკვე გამოვლინდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები — რ. დმიტრიევი (48 კგ, მოსკოვი), ტ. ხატაგოვი (62 კგ, აზერბაიჯანი) და ხ. ორცუევი (90 კგ, რსფსრ).

● **სპორტული ტანვარჯიში.** სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ ე. აზარიანი (სომხეთი) და ჯ. დიტიატინი (ლენინგრადი), რომლებმაც თანაბარი ქულები (118,925) დააგროვეს. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ვ. ა. ტკაჩევი (რსფსრ), 4. კოძი გუსაკენი, 5. ნაბუიოკი კაძიტანი, ტოსიომი ნიისკი (ყველა იაპონელი).

გამოვლინდა ქალთა შორის სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი. ოქროს დიდი მედალი მოიოვა ნ. შაპოშნიკოვამ (რსფსრ). მეორე იყო ტ. არეანიკოვა (ბელორუსია), მესამე — ნ. კიმი (ბელორუსია).

● **ფეხბურთი.** 28 ივლისიდან განახლდება სასპარტაკიადო ტურნირი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭიდლებისათვის. ცნობილი გახდა ამ შეხვედრების კალენდარი. 28 ივლისი. „ა“ ჯგუფი: მოსკოვი-ბელორუსია, ლიტვა-უკრაინა, „ბ“ ჯგუფი: საქართველო-რსფსრ, ყაზახეთი-ლენინგრადი. 30 ივლისი. „ა“ ჯგუფი: ბელორუსია-უკრაინა, მოსკოვი-ლიტვა, „ბ“ ჯგუფი: რსფსრ-ლენინგრადი, ყაზახეთი-საქართველო. 1 აგვისტო. „ა“ ჯგუფი: ლიტვა-ბელორუსია, უკრაინა-მოსკოვი, „ბ“ ჯგუფი: საქართველო-ლენინგრადი, რსფსრ-ყაზახეთი.

● **ცურვა.** ვაჟთა შორის 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო მსოფლიოს რეკორდსმენი ბელორუსი ს. ცოპლიაკოვი — 1.50.13 წთ. მეორე ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ა. კრილოვი, მესამეზე — ავსტრალიელი გ. ბრეკერი.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ყველას აჯობა ა. ფედოროვსკიმ (რსფსრ) — 1.03.84. მეორე იყო ა. მისკაროვი (ლატვია), მესამე — ხ. ტაკახასი (იაპონია).

● **სასტენდო სროლა.** სატრამბეო სტენდის ზარბოლელთა შორის მოულოდნელად მხოლოდ მეექვსე შედეგი აჩვენა სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდის მფლობელმა ფრანგმა ჰ. კარეგამ, რომელმაც 200 სამიზნიდან 193 დააზიანა. ჩემპიონის წოდება მოიპოვა ყაზახეთის გუნდის წარმომადგენელმა ა. ხანოვმა — 196. მეორე იყო მოსკოველი ი. კაშუბა — 195, მესამე — უკრაინელი ი. ნიკანდოროვი — 194.

● **ველოსიპორტი.** ინდივიდუალურ რბოლაში გამოდევნებით სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი დაიბაკუთრა ყაზახეთის წარმომადგენელმა ნ. მაკაროვმა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის რეკორდი დაამყარა — 4 წუთი და 52,87 წამი.

მოსკოვი — გულღია მასპინძელი

„აილამას“ სტუმრები

ლენტები. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ალპინისტური ბანაკი „აილამა“ არსებობის თხუთმეტი წლის მანძილზე 11 ათასამდე მთამსვლელს მოემსახურა. წელს „აილამა“ 900 კაცს გაუწევს მასპინძლობას. აქაური მთამსვლელთა ცხოვრებაში ბევრი სიახლეა. „აილამას“ ბაზაზე დაარსდა და საწვრთნელ მუშაობას შეუდგა ალპინისტური ფილიალი „ზესხო“. ალპინისტებისა და ტურისტების დასახმარებლად შეიქმნა სამაშველო პუნქტი, ქუთაისში აშენდა ჩამოსული ალპინისტების ღამის გასათევი სახლი, დაბა ლენტებში — ადმინისტრაციული შენობა.

მთამსვლელთა მომზადებასა და მწვრთვალების დალაშქვრაში დიდი წვლილი შეაქვთ ცნობილ ვეტერან სპორტსმენს, მრავალი მწვერვალის დამპყრობს ჯ. გუგავას, ბანაკის ინსტრუქტორებს ა. გაზდელიანს, გ. მეშველიანს, ვ. ჭურასბედიანს, მამუკა და გელა გუგავებს, ვ. ჭელიძეს, ნ. ნიგურიანს, ვ. სიბანაძეს, ვ. რატიანს.

ლამაზი სულის უკვდავება

გაიხსნა ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა

გამოჩენილი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს მიეძღვნა გამოფენა საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში.

ექსპოზიცია გახსნა მუზეუმის მუსიკალური განყოფილების გამგემ ნ. ბერიძემ.

ვანო სარაჯიშვილის დიდ ღვაწლზე ეროვნული ვოკალური სკოლის განვითარების საქმეში, მის უბადლო ნიჭზე ესაუბრა დამსწრეთ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. გამოფენის გახსნაზე გამოვიდა პროფესორი გრ. ჩხიკვაძე.

პოემა ი. ნონეშვილმა წაიკითხა ლექსი, რომელიც ვანო სარაჯიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ხსოვნას ეძღვნება, პროფესორმა პ. ხუჭუამ კი გაიხსენა ის დაუვიწყარი დღეები, როცა ანაგაში მომღერლის სიცოცხლის უკანასკნელ წელს ბედნიერება ჰქონდა ვანო სარაჯიშვილის ნახვისა.

საგამოფენო დარბაზს ავსებდა ვანოს ტკბილი ხმა, მის მიერ უბადლოდ შესრულებული ქართული სიმღერები და რომანსები.

მუზეუმს მომღერლის პირადი მემორიალური ნივთების შეგროვებაში დიდად დაეხმარა ვანო სარაჯიშვილის ძმისშვილი ელენე სარაჯიშვილი.

გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოსურათები, პირადი მემორიალური ნივთები თვალსაჩინოს ხდის და აცნობს მნახველს ხალხის საყვარელი მომღერლის ცხოვრების გზას, მომღერლისა, რომელსაც კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა ქართველი ხალხის „ლამაზი სული“ უწოდა.

მ. გონაშვილი.

ეს მოხდა ეშერის გადასარბენთან

მემანქანის გმირობა

უკან დარჩა სოხუმის რკინიგზის ვაგზლის სასადგურო გზების სასიგნალო ნათურები. მოსკოვიწყალტუბოს მალი სამგზავრო მატარებელი სიჩქარეს უმატებდა და ეშერის გადასარბენს „მწვანე ქუჩით“ მიჰქროდა. უფრად ელმავლის მემანქანემ გენო თოფურიძემ წინ ლიანდაგზე რადაც საგანი შენიშნა და მაშინვე იწყო შემადგენლობის დამუხრუჭება, წუთიც და ნათლად გაარჩია ლიანდაგებს შორის პატარა ბავშვი. ბავშვს ყურადღებაც არ მიუქცევია ელმავლის სასიგნალო შეკივლებისათვის. მემანქანემ სასწრაფო დამუხრუჭება გამოიყენა, მაგრამ მატარებელი ინერციით სრიალს განაგრძობდა. მაშინ ყველაფერი ერთ წამში გაიანგარიშა, კაბინის კიბეს მივარდა და მატარებლიდან გადახტა, რათა ბავშვი ზედ ელმავლის წინ ლიანდაგიდან გადაეყვანა.

ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, გმირობა იყო: მატარებელი სწყლას განაგრძობდა, მემანქანე კი უკვე განზე იდგა ბავშვით ხელში.

მატარებელთან სოფლის მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი, ყოველი მათგანი ცდილობდა ხელი ჩამოერთვა მამაცი ადამიანისათვის. მადლიერების ცრემლმორეული დედა ყვებოდა, რომ ბოსტანში მუშაობდა და ვერ შენიშნა, როგორ გავიდა ეზოდან მისი ორი წლის ბიჭუნა, რომელიც ლიანდაგზე ეკნჭობანას თამაშის გუნებაში დამდგარიყო.

გულით გაახარა მემანქანის გმირობამ ელმავლის კოლონის მემანქანე-ინსტრუქტორი, დეპოს კომუნისტთა თავკაცი სულეიმან ოდილავაძე. მემანქანე თოფურიძემ ხომ მისი დამრიგებლის გმირობა გაიმეორა. მაშინ, 1964 წლის ზაფხულში, მან გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა ლიანდაგებზე თამაშით გართული ვაპან გადოიანი. ახლა ვაპანი ლენინაკანის ტექნიკუმის სტუდენტია და მიმოწერა აქვს თავის მხსნელთან.

თ. ჯიბუტი, საქინფორმის კორ.

ვისი ბრალია?

დანაშაულის კვალდაკვალ

ყვარლის ავტოსადგურის დისპეტჩერმა ნოდარ ფაქელაშვილმა სულ ახლახან შეიძინა „ჟიგული“. მაგრამ მისი გაფორმებაც ვერ მოასწრო, რომ ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების ავტოინსპექტორებმა სამთვრალეზე „გააფორმეს“. მან ღამის და სიჩქარის იმედით ულიმარო „ჟიგულში“ ლუბერიელი ტურისტები ჩაისვა და ავტომობილი შეაღამისას თელავ-გურჯაანის გზაზე გააქროლა. ღამე დიდი სიჩქარით მოძრაობა კარგს არას უქადის მძღოლს, და მოხდა ის, რაც არც მ. ფაქელაშვილს ჰქონდა გათვალისწინებული და არც გურჯაანის რაიონის ნაგზაო მშენებლებს. გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი „ჟიგული“ გზაზე დაყრილ ხრეშის დიდ გროვას შეეჯახა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთ-ერთი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე დაშავდა.

მართალია, ნ. ფაქელაშვილი დაკავებულია და მართლმსაჯულება მას საკადრისს მიუზღავს, მაგრამ რას ფიქრობენ გზის ის მშენებლები, რომლებმაც გაუნათებლად, შემოუხღუდავად და საგზაო ნიშნის გარეშე მიატოვეს გზაზე დაყრილი ხრეში? მათაც ხომ არ აწევთ ცოდვად დაღუპული ადამიანის სიცოცხლე? ამ კითხვაზე პასუხს ალბათ მართლმსაჯულება გასცემს.

მეორე შემთხვევა კი ცხინვალის რაიონში მოხდა. ზონკარის წყალმშენის ტერიტორიაზე მუშაობდნენ „მტკვარწყალმშენის“ გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის მკვიდრი ნუგზარ ხუბაევი და მისი თანასოფელი ტრაქტორისტი როლანდ ქუჯნიაშვილი. მუშაობა მოსწყინდათ თუ საკუთარი საქმე გაუჩნდათ, არავინ იცის, ხუბაევმა 11-ტონიანი თვითმცლელის კაბინაში ჩაისვა ქუჯნიაშვილი და სოფლის მოუწყობელ გზას დაადგა. ერთგან, ვიწრო ადგილას მანქანა გზიდან გადავიდა და 88-მეტრიან ხრამში გადაიჩეხა.

საგზაო შემთხვევის შედეგად თანასოფლელები მძღოლი ხუბაევი და ტრაქტორისტი ქუჯნიაშვილი ადგილზევე გარდაიცვალნენ.

„კომუნისტის“ საგუშაგო

ქრონიკა

ამბ. გივი შალვას ძე **მაისურაძე** დანიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმენებულად საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ამბ. ილია პარმენის ძე **რურუა** დანიშნულია საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმენებულის მოადგილედ.

გაჯეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველას, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის ღრმა მწუხარება აკადემიკოს თეოფანე ფარნას ძე დავთოიას გარდაცვალების გამო.

აკადემიკოს თ. დავითაიას ოჯახი.

ტელევიზია

27 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის დღიური“ (მ.), 16.30 — ანიგურიენგთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (მ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — ბავშვებისათვის — კონცერტი „მხიარული დასვენება“ (ფ.), 18.25 — „სახალხო კონგრესის ეკრანი“, 19.10 — კონცერტი ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ — „სგუდიაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ბარაძე (ფ.), 20.45 — „ქართული ფილმი“ — საუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ (II სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (მ.).

მეორე პროგრამით: 17.20 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ — ლადო მესხიშვილი (ფ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.25 — განცხადებები (ფ.), 18.35 — საგლეგზიური მხატვრული ფილმი — „ერმი ბიდი“ (III სერია).

თეატრი

27 ივლისი

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოვან ეპი ძაღლია;** საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია (მეგელის პლეგოზე) — **ეროკალურ-ინსტრუმენტალი ანსამბლი „ორერა“.**

ერთს ნაცვლად — ორი

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მოსკოვი. (ჩვენ. სპეც. კორ. გ. ბაქრაძისა). ფიფოს ბიურო გადაწყვეტილებას ქალთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის საკითხი, რომელიც 22 სექტემბერს იწყებოდა ოროო-და-უანეიროში, იმის გამო, რომ უკვე მოგვრილი და ამ შეჯიბრების 34 მონაწილე, ფიფოს ბიურომ ერთი საზონათშორისო ტურნირის პროექტზე (გასაზღვრული იყო მის ორ საუნტურად მოწყობა) და დაადგინა, გაიმართოს ორი ასეთი ტურნირი, რომელშიც 17-17 მოჭადრაკე ეასპარეზებს. ამასთან, სპეციალურმა კომისიამ მოჭადრაკეების კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით ორ ჯგუფად გაანაწილა. თითოეული ტურნირიდან სამ-სამი გამარჯვებული პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს. მაგისად დაემატებიან მსოფლიო ექს-ჩემპიონი გაფრინდაშვილი და დიდოსტატი კუშნირი, როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელი ასპარეზობის ფინალური მატჩის მონაწილენი.

აი, როგორ გაანაწილეს მოჭადრაკეები:

პირველი საზონათშორისო ტურნირი — დიდოსტატები ალექსანდრია, ლეგოტინა, კოზლ